№ 193

"02" 03. 2026

განცხადება

სს ჩაჩავას კლინიკის აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ

2026 წლის 26 მარტს 11:00 საათზე, ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. №38-ში ჩატარდება სს ჩაჩავას კლინიკის (ს/კ 203827608; იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №38) სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების დივიდენდის გაცემის საკითხის გადაწყვეტა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე: 2026 წლის 24 თებერვალი.

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღებისა და ხმის მიცემის უფლება ექნებათ იმ აქციონერებს, რომლებიც საერთო კრების სააღრიცხო დღეს (2026 წლის 24 თებერვალს) აქციონერებად ირიცხებიან.

კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და:

ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

აქციონერებს საშუალება აქვთ გაეცნონ კრებაზე წარსადგენ დოკუმენტაციას საზოგადოების იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართზე (ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №38) სამუშაო დღეებში 10:00-დან 17:30 საათამდე.

ქეთევან გოცირიძე
სს ჩაჩავას კლინიკის
გენერალური დირექტორის მშ

სს "ჩაჩავას კლინიკა" JSC "CHACHAVA CLINIC" -1875- 203827608

სს "ჩაჩავას კლინიკა"
საქართველო
თბილისი 0108
კოსტავას ქ. №38
ტელ.: +(995 32) 295 33 11
E-mail: info@chachava.ge
www.chachava.ge